

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N006/18<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ნინო ხიზანიშვილი (სტუდენტი)

### შეკითხვა

ადვოკატმა რამდენიმე პირს გაუწია წარმომადგენლობა დასრულებულ საქმეზე. ადვოკატს იგივე პირები უცხადებენ, რომ იგი ვალდებულია დაიცვას მათი ინტერესები ახალ საქმეზე, რაც ადვოკატს არ სურს. ვალდებულია თუ არა ადვოკატი განახორციელოს ამ პირთა წარმომადგენლობა?

### ანალიზი

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა იწყება ურთიერთშეთანხმებით, რომლის ფორმაც აპკ-ის 8.1 მუხლით დადგენილი არ არის. იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. ასეთი შეთანხმება განიხილება დავალების ხელშეკრულებად, რადგან ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული მოქმედებები მარწმუნებელის სახელითა და ხარჯით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709). ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი განამტკიცებს შესაძლებლობას, პირმა დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 319.1). კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, გარდა გამონაკლისებისა. პირს ასევე თავისუფლად შეუძლია აირჩიოს კონტრაქტისტი. ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან მის შესრულებაზე და შეწყვიტონ იგი.

შესაბამისად, ადვოკატს არ აქვს ქმედების განხორციელების ვალდებულება და თავად შეუძლია გადაწყვიტოს დაიწყებს თუ არა აღნიშნული პირის წარმომადგენლობას.

### დასკვნა

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატის თანხმობა წარმომადგენლობის განხორციელებაზე დამოკიდებულია ადვოკატის ნებაზე. ფაქტი, რომ ადვოკატი კონკრეტულ პირებს წარმოადგენდა უკვე დასრულებულ საქმეზე, არ ავალდებულებს ადვოკატს წარმოადგინოს ამ პირთა ინტერესები მოცემულ შემთხვევაშიც.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c17c7197d573.pdf/5c17c7197d573.pdf>